საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

თვითმმართველობა და განვითარება

№4 / 2010

# მომავალი თაობა მომავალზე



ლელა ფუტკარაძე



თემურ გაბაიძე

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტი“ პროექტის: „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში წერითი ნამუშევრების კონკურსი: „ჩვენი მუნიციპალიტეტი 2025 წელს“ ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის მიხედვით კონკურსის ჩატარება არ იყო დაგეგმილი, „ინტელექტის“ ექსპერტებმა გადაწყვიტეს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეების, როგორც მომავალში მუნიციპალიტეტის განვითარების აქტიური მონაწილეების აზრის ცოდნა და გათვალისწინება მუნიციპალიტეტების სტრატეგიული გეგმების შემუშავების პროცესში საინტერესო და სასარგებლო იქნებოდა.

კონკურსში აჭარის რეგიონის 5 მუნიციპალიტეტის თხუთმეტი სკოლის მე-10, მე-11 და მე-12-კლასელები მონაწილეობდნენ.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში კონკურსში მონაწილეობა მიიღეს: ქ. ქობულეთის №2, გვარას და დაბა ჩაქვის №1 სკოლების მოსწავლეებმა; ხელვაჩაურში: დაბა ხელვაჩაურის, ჭარნალისა და შარაბიძეების; ქედის მუნიციპალიტეტში: დაბა ქედის, მერისის და ზვარეს; შუახევში: დაბა შუახევის, ჭვანისა და ცინარეთის, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტში: დაბა ხულოს, ოქრუაშვილებისა და ქვემო ვაშლოვანის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა. კონკურსში მონაწილე სკოლები შერჩეულ იქნა შემთხვევითი შერჩევის პრინციპით იმ სკოლებიდან, რომლებშიც ისწავლება ეკონომიკა.

კონკურსის მიზანი იყო, ერთის მხრივ, მოსწავლეთა გააქტიურება, რათა ისინი სამომავლოდ უფრო მეტად იყვნენ ჩართულნი თვითმმართველობის პროცესში, ხოლო მეორეს მხრივ, „ინტელექტს“ აინტერესებდა, გაეგო მათი ხედვა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებით, კერძოდ, თუ რა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები არსებობს მათ მუნიციპალიტეტში, რომელ სფეროებს უნდა მიენიჭოს პრიორიტეტი, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს იმისათვის, რომ გადაიჭრას არსებული პრობლემები, როგორ წარმოუდგენიათ მათ თავიანთი მუნიციპალიტეტის მომავალი და რა პირადი წვლილის შეტანას აპირებენ მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ კონკურსმა დიდი ინტერესი გამოიწვია მოსწავლეებში. ნამუშევრების განხილვამ ცხადყო, რომ ახალგაზრდები საკმაოდ კარგად ერკვევიან საკუთარი მუნიციპალიტეტის პრობლემატიკაში და პრობლემების მოსაგვარებლად გადაჭრის საინტერესო გზებიც აქვთ მოფიქრებული.

კონკურსის ბოლო ეტაპზე, ნამუშევრების განხილვის შემდეგ, გამოვლინდება 3 გამარჯვებული მოსწავლე, რომლებსაც „ინტელექტი“ დააჯილდოვებს დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით. გამარჯვებული ნამუშევრები გამოქვეყნდება საგაზეთო ჩანართში: „ინტელექტი“ და განთავსდება ვებ-გვერდზე: www.intellect.org.ge

**წარმოგიდგენთ მუნიციპალიტეტების მიხედვით მოსწავლეთა ნამუშევრებში გამოკვეთილ პრობლემათა ანალიზს:**

**ქობულეთის მუნიციპალიტეტი გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:**

1. უმუშევრობა – 29%;
2. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების არარსებობა – 27%;
3. მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა – 11%;
4. არასრული გაზიფიცირება – 7%;
5. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების არარსებობა/გაუმართაობა – 5%;
6. საზღვარგარეთ მიგრაცია – 5%;
7. ჯანდაცვის ობიექტების არარსებობა/ცუდი მდგომარეობა – 5%;
8. ზღვისა და ზღვისპირა ზოლის დაჭუჭყიანება – 4%;
9. ბიბლიოთეკების არარსებობა – 2%;
10. გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტი – 2%;
11. მცირემიწიანობა/უმიწო ფერმერები – 1%;
12. საერთო მრიცხველების არსებობა – 1%;
13. ბავშვთა ბაღების არარსებობა – 1%.

**დასახელდა შემდეგი პრიორიტეტები:**

1. სამუშაო ადგილების შექმნა – 27%;
2. საოჯახო ტურიზმის განვითარება – 16%;
3. კულტურის სფეროს განვითარება – 16%;
4. სოციალური დაცვის გაუმჯობესება – 8%;
5. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება – 7%;
6. განათლების სისტემის სრულყოფა – 7%;
7. ინვესტიციების მოზიდვა – 6%;
8. ეკოლოგია – 5%;
9. სპა ტურიზმის განვითარება – 4%;
10. სპორტის განვითარება – 4%.

**დაისახა პრობლემათა გადაჭრის შემდეგი გზები:**

1. ციტრუსის, ჩაისა და ხილის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება, ექსპორტირება - 29%;
2. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების მოწყობა – 24%;
3. შიდასასოფლო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია – 9%;
4. გაზიფიცირება – 6%;

საავადმყოფოების რეაბილიტაცია და ამოქმედება – 6%;

5. პენსიების გაზრდა, სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება, სოციალური დახმარების გაზრდა – 5%;
6. შეღავათიანი სესხების გაცემა ფერმერებზე – 5%;
7. საკურორტო მარშუტების შექმნა – 4%;
8. მიწების პრივატიზაცია/დაკანონება – 3%;
9. წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება – 3%;
10. ნაგავსაყრელის მოწყობა – 2%;
11. ინდივიდუალური მრიცხველების დამონტაჟება – 2%;
12. ბავშვთა ბაღების გახსნა/რეაბილიტაცია – 2%.

**ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:**

1. უმუშევრობა – 25%;
2. მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა – 12%;
3. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების არარსებობა/გაუმართაობა – 9%;
4. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების არარსებობა – 7%;
5. ხე-ტყის უკანონო ჭრა – 6%;
6. მაღალი კომუნალური გადასახადები – 6%;
7. ელექტროენერგიის არასრული მიწოდება – 5%;
8. აფთიაქების არარსებობა – 5%;
9. მდინარეების დაჭუჭყიანება – 5%;
10. ჯანდაცვის ობიექტების არარსებობა/ ცუდი მდგომარეობა – 5%;
11. მცირემიწიანობა/უმიწო ფერმერები – 5%;
12. არასრული გაზიფიცირება – 3%;
13. მიგრაცია – 3%;
14. გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტი – 2%;
15. ბავშვთა ბაღების არარსებობა – 2%.

**დასახელდა შემდეგი პრიორიტეტები:**

1. სამუშაო ადგილების შექმნა – 40%;
2. საოჯახო ტურიზმის განვითარება – 15%;
3. ინფრასტრუქტურის სრულყოფა – 12%;
4. ეკოლოგია – 9%;
5. ინვესტიციების მოზიდვა – 7%;
6. სამთო ტურიზმის განვითარება – 7%;
7. ისტორიულ-არქეოლოგიური ტურიზმის განვითარება – 4%;
8. განათლების სისტემის სრულყოფა – 3%;
9. კულტურის სფეროს განვითარება – 2%;
10. ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება – 1%.

**დაისახა პრობლემათა გადაჭრის შემდეგი გზები:**

1. ციტრუსის, ჩაისა და ხილის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება, ექსპორტირება – 21%;
2. მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეკალმახეობის განვითარება – 12%;
3. ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება – 11%;
4. შიდასასოფლო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია – 9%;
5. საკონსერვო და საკონდიტრო საწარმოთა ამოქმედება – 8%;
6. სასათბურე მეურნეობების შექმნა – 7%;
7. წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება – 6%;
8. პენსიების გაზრდა, სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება, სოციალური დახმარების გაზრდა – 5%;
9. საავადმყოფოების რეაბილიტაცია და ამოქმედება – 4%;
10. მიწების პრივატიზაცია/დაკანონება – 4%;
11. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების მოწყობა – 4%;
12. შეღავათიანი სესხების გაცემა ფერმერებზე – 3%;
13. გაზიფიცირება – 3%;
14. ბავშვთა ბაღების გახსნა/რეაბილიტაცია – 2%;
15. ჰიდროელექტროსადგურების აშენება – 1%.

**ქედის მუნიციპალიტეტი გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:**

1. უმუშევრობა – 26%;
2. ჯანდაცვის ობიექტების არარსებობა/ ცუდი მდგომარეობა – 15%;
3. მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა – 13%;
4. მიგრაცია – 11%;
5. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების არარსებობა – 7%;
6. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების არარსებობა/გაუმართაობა – 7%;
7. უსახლკარო ოჯახების არსებობა – 6%;
8. ხე-ტყის უკანონო ჭრა – 5%;
9. მოუწესრიგებელი სარწყავი სისტემა – 4%;

გაგრძელება შემდეგ გვერდზე

# მომავალი თაობა მომავალზე

10. გაზიფიცირების არარსებობა – 3%;
11. გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტი – 3%.

**დასახელდა შემდეგი პრიორიტეტები:**

1. სამუშაო ადგილების შექმნა – 29%;
2. სოციალური დაცვის გაუმჯობესება – 14%;
3. ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება – 12%;
4. განათლების სისტემის სრულყოფა – 9%;
5. კულტურის სფეროს განვითარება – 8%;
6. ინვესტიციების მოზიდვა – 8%;
7. ეკოლოგია – 7%;
8. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება – 7%;
9. ისტორიულ-არქეოლოგიური ტურიზმის განვითარება – 4%;
10. სპორტის განვითარება – 2%.

**დაისახა პრობლემათა გადაჭრის შემდეგი გზები:**

1. მეცხოველეობის, მეკალმახეობის, მეფუტკრეობის ხელშეწყობა – 17%;
2. საავადმყოფოს რეაბილიტაცია და ამოქმედება – 15%;
3. მევენახეობის განვითარება – 13%;
4. ხილის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება – 12%;
5. პენსიების გაზრდა, სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება, სოციალური დახმარების გაზრდა – 8%;
6. სასათბურე მეურნეობების შექმნა – 6%;
7. რძის გადამამუშავებელი ქარხნების ამოქმედება – 6%;
8. გაზიფიცირება – 5%;
9. შეღავათიანი სესხების გაცემა ფერმერებზე – 5%;
10. შიდასასოფლო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია – 4%;
11. მიწების პრივატიზაცია/დაკანონება – 3%;
12. ბავშვთა ბაღების აშენება – 3%;
13. ყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება – 3%.

**შუახევის მუნიციპალიტეტი**
**გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:**

1. უმუშევრობა – 23%;
2. მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა და მუნიციპალური ტრანსპორტი – 13 %;
3. ჯანდაცვის ობიექტების არარსებობა/ ცუდი მდგომარეობა – 11%;
4. მგზავრობის მაღალი ტარიფები – 9%;
5. ელექტროენერგიის მაღალი ტარიფი – 8%;
6. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების არარსებობა – 8%;
7. გაზიფიცირების არარსებობა – 7%;
8. ხე-ტყის უკანონო ჭრა – 6%;
9. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების არარსებობა/გაუმართაობა – 5%;
10. საერთო მრიცხველების არსებობა – 4%;
11. მაღალი გადასახადი საგანმანათლებლო დაწესებულებებში – 2%;
12. ბავშვთა ბაღების არარსებობა – 2%;
13. ეკომიგრაცია – 2%.

**დასახელდა შემდეგი პრიორიტეტები:**

1. სამუშაო ადგილების შექმნა – 35%;
2. სამთო ტურიზმის განვითარება – 17%;
3. ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება – 13%;
4. ისტორიულ-არქეოლოგიური ტურიზმის განვითარება – 11%;
5. საოჯახო ტურიზმის განვითარება – 9%;
6. ინვესტიციების მოზიდვა – 7%;
7. სოციალური დაცვის გაუმჯობესება – 7%;
8. განათლების სისტემის სრულყოფა – 6%;
9. ინფრასტრუქტურის სრულყოფა – 5%.

**დაისახა პრობლემათა გადაჭრის შემდეგი გზები:**

1. ხილის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება – 19%;
2. შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა – 15%;
3. პენსიების გაზრდა, სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება, სოციალური დახმარების გაზრდა – 11%;
4. მევენახეობის, მეთამბაქოეობის განვითარება – 8%;
5. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების მოწყობა – 7%;
6. წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება – 6%;
7. შეღავათიანი სესხების გაცემა ფერმერებზე – 5%;
8. საავადმყოფოების რეაბილიტაცია და ამოქმედება – 5%;
9. გაზიფიცირება – 5%;
10. ბავშვთა ბაღების გახსნა/რეაბილიტაცია – 4%;
11. მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, სასათბურე მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა – 4%;
12. რძის გადამამუშავებელი ქარხნების ამოქმედება – 4%;
13. გომარდულში სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება – 3%;
14. მინერალური წყლების ჩამოსხმა – 2%;
15. მიწების პრივატიზაცია/დაკანონება – 2%.

**ხულოს მუნიციპალიტეტი**
**გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები:**

1. უმუშევრობა – 28%;
2. მოუწესრიგებელი საგზაო ინფრასტრუქტურა – 17%;
3. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების არარსებობა/გაუმართაობა – 13%;
4. ხე-ტყის უკანონო ჭრა – 10%;
5. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების არარსებობა – 8%;
6. მიგრაცია – 8%;
7. ჯანდაცვის ობიექტების არარსებობა/ ცუდი მდგომარეობა – 6%;
8. მდინარეების დაბინძურება – 4%;
9. გაზიფიცირების არარსებობა – 4%;
10. ნიადაგის ეროზიული პროცესები – 2%.

**დასახელდა შემდეგი პრიორიტეტები:**

1. სამუშაო ადგილების შექმნა – 24%;
2. სოციალური დაცვის გაუმჯობესება – 18%;
3. სამთო ტურიზმის განვითარება – 13%;
4. საოჯახო ტურიზმის განვითარება – 11%;
5. ინვესტიციების მოზიდვა – 9%;
6. ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება – 8%;
7. ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება – 7%;
8. განათლების სისტემის სრულყოფა – 6%;
9. ეკოლოგია – 4%.

**დაისახა პრობლემათა გადაჭრის შემდეგი გზები:**

1. ხილის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება – 19%;
2. შიდასასოფლო გზების რეაბილიტაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის დანიშვნა – 17%;
3. პენსიების გაზრდა, სამედიცინო დახმარების გაუმჯობესება, სოციალური დახმარების გაზრდა – 11%;
4. გაზიფიცირება – 9%;
5. წყლისა და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება – 8%;
6. კარტოფილის გადამამუშავებელი საწარმოების ამოქმედება – 8%;
7. სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარება – 6%;
8. რძის გადამამუშავებელი ქარხნების ამოქმედება – 5%;
9. მიწების პრივატიზაცია/დაკანონება – 4%;
10. ბავშვთა ბაღების აშენება – 4%;
11. კულტურულ-გასართობი და დასასვენებელი ობიექტების მოწყობა – 4%;
12. შეღავათიანი სესხების გაცემა ფერმერებზე – 3%;
13. საავადმყოფოების რეაბილიტაცია და ამოქმედება – 2%.

ცალკეული მუნიციალიტეტების მონაცემების შედარებით ჩანს, რომ არის სხვაობა არსებულ პრობლემებში, დასახელებულ პრიორიტეტებსა და დასახულ გადაჭრის გზებში, თუმცა აშკარაა მსგავსება ძირითადი მაჩვენებლებისა, რაც ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:










*ეკონომიკის ექსპერტი თემურ გაბაიძე;*
*ეკონომიკის ექსპერტის ასისტენტი*
*ლელა ფუტკარაძე*

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: ბურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის “აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის” ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, ალმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge